საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/22

ქ.თბილისი

„28" ოქტომბერი 2016 წ.

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელებისა და კომისიის აპარატში დასაქმებულთა ატესტაციის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 23 სექტემბრის N 652/22 გადაწყვეტილების მე-3 ნაწილის შესაბამისად, კომისიის აპარატში დასაქმებულთა ტესტირების თარიღების განსაზღვრის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატში დასაქმებულთა ატესტაციის წესის" III თავის და „სსიპ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასა" და „სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს" შორის მოქმედი 2016 წლის 9 აგვისტოს N 09/08-16-1 სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებისა და ამ ხელშეკრულების ცვლილება N 1-ის თაობაზე „სსიპ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასა" და „სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს" შორის 2016 წლის 29 სექტემბრის შეთანხმების მე-7 მუხლის 7.1 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. „სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატში დასაქმებულთა ატესტაციის წესის" მე-II თავის, მე-6 მუხლით განსაზღვრულ ატესტაციას დაქვემდებარებულ პირთა ტესტირება მენეჯერულ უნარებსა და ზოგად უნარებში ჩატარდეს „სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის" შენობაში, მისამართზე: ქ. თბილისი, მინდელის ქ. 9, შემდეგი გრაფიკით:

ა) მენეჯერული უნარების ტესტი მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულისთვის (დეპარტამენტის ხელმძღვანელი, დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლი) - პარასკევს, 2016 წლის 11 ნოემბერს, 10:00 საათზე.

ბ) ზოგადი უნარების ტესტი დასაქმებულებისთვის - 2016 წლის 12 და 13 ნოემბერს, 10:00 საათზე.

2. 2016 წლის 12 და 13 ნოემბერს ტესტირებისთვის განსაზღვრული დრო ჩაითვალოს ზეგანაკვეთურ სამუშაო დროდ. თითო დღეს ტესტირებისთვის განსაზღვრული ზეგანაკვეთური საათები დამრგვალდეს ნახევარ დღეზე და ჯამში განისაზღვროს 1 დღის ოდენობით. კომისიის აპარატის დასაქმებულებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ტესტირებაში 2016 წლის 12 და 13 ნოემბერს, ზეგანაკვეთური სამუშაო დროის სანაცვლოდ მიეცეთ დასვენების დღე ერთი სამუშაო დღის ოდენობით.

3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი. ხარებავა), დაუყოვნებლივ ჩააბაროს კომისიის აპარატის ყველა დასაქმებულს წინამდებარე ბრძანება (კანცელარიის ბეჭდით დამოწმებული ასლები) და უზრუნველყოს აღნიშნული პროცესის დოკუმენტირება ხელმოწერების სახით, რითაც დადასტურდება კომისიის აპარატის დასაქმებულთა მიერ ამ ბრძანების მიღება (ჩაბარება).

4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

5. ეს ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N6) ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე **ვახტანგ აბაშიძე**